

მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი #10

2016 წლის 05 აგვისტო

11.00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ: კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე თოდუა

კომისიის წევრები: გიორგი სარდლიშვილი, თამაზ ნათელაშვილი და ნუგზარ ჩანადირი, გიორგი ჭინჭარაული, გურამ ანსიანი, გიორგი წონდელი, მიხეილ სტეფნიაშვილი.

დღის წესრიგი:

1. საკითხი: „მცხეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 დეკემბრის #58 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

მომხს. ა. თოდუა

მოისმინეს:

საკითხი 1. მომხსენებელმა აღნიშნა რომ მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 3 აგვისტოს #6501 მომართვით წარმოდგენილია დადგენილების პროექტი „მცხეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 დეკემბრის #58 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

მიმდინარე დაზუსტებით განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

1 საქართველოს მთავრობის 2016 წლის 4 თებერვლის N175 განკარგულებაში საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 ივლისის N1530 განკარგულებით შეტანილი ცვლილების საფუძველზე - საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მცხეთის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურის დასაფინანსებლად გამოყოფილი თანხის 50,3 ათ. ლარით შემცირების შესახებ;

კერძოდ, 8,4 ათ. ლარით გაიზარდა შემდეგი სამუშაოები:

N	სამუშაოს დასახელება	კოდი	თანხა (ათ.ლარი)
1	წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია - არაფინანსური აქტივების ზრდა, მათ შორის	03 02 03	8,4
	სოფ. მუხრანში უბნების სასმელი წყლის შიდა დაქსელვის სამუშაოები		1,2
	ახალი ნიჩბისის სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია		1,1
	სოფ. ძეგვში სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია		2,3
	სოფ. ლისში სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია		1,1
	სოფ. წილკნის სასმელი წყლის სისტემის მოწყობა		0,4
	სოფ. ბიწმენდის სასმელი წყლის სისტემის მოწყობა		2,3

ხოლო 58,7 ათ. ლარით შემცირდა ქვემოთ ჩამოთვლილი სამუშაოები:

N	სამუშაოს დასახელება	კოდი	თანხა (ათ.ლარი)
1	წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია - არაფინანსური აქტივების ზრდა, მათ შორის	03 02 03	21,5
	სოფ. ჭილაანთკარის სასმელი წყლის სისტემის მოწყობა		15,4
	სოფ. ჩარდახის სასმელი წყლის სისტემის მოწყობა		6,1
2	მუნიციპალური შენობების რეაბილიტაცია და მშენებლობა- - საქონელი და მომსახურება	03 02 06	37,2
	სოფ.ერედის საბავშვო ბაღის სარემონტო სამუშაოები		37,2
	სულ		58,7

ამასთან, სარეზერვო ფონდიდან 11,0 ათ. ლარი გადატანილ იქნა სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსების (კოდი 03 03) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში სოფ. ნიჩბისში სანიაღვრე არხის მოსაწყობად, ხოლო წყლის სისტემის რეაბილიტაციის და ექსპლოატაციის (კოდი 03 02 03) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლიდან 8,0 ათ. ლარი გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე:

N	სამუშაოს დასახელება	კოდი	თანხა (ათ.ლარი)
1	მუნიციპალიტეტის საკრებულო - საქონელი და მომსახურება (ტრანსპორტის მოვლა-შენახვის)	01 01	1,0
2	საკანალიზაციო სისტემის მოწყობა და რეაბილიტაცია - არაფინანსური აქტივების ზრდა (სოფ.ძეგვში, საშ. სკოლასთან საკანალიზაციო ქსელის მოწყობა)	03 02 02	4,2
3	მოქალაქეებისათვის მკურნალობის და ოპერაციის ხარჯების დაფინანსება - სოც.უზრუნველყოფა	06 02 02	2,8
	ჯამი		8,0

კომდინარე დაზუსტებით მცხეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის ასიგნებები შემცირდა 50,3 ათ. ლარით და შეადგინა 15 942,4 ათ. ლარი.

გადაწყვეტეს: კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია წარმოდგენილი პროექტი გატანილი იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად და შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარე

ალექსანდრე თოდუა



კომისიის წევრები

იოსებ სამხარაძე

გიორგი სარდლიაშვილი



გურამ ანსიანი



თამაზ ნათელაშვილი



ნუგზარ ჩანადირი



გიორგი ჭიჭარაული



გიორგი წონდელი



მიხეილ სტეფნიაშვილი

